გამარჯვება კუიბიშევში

კუიბიშევი. “მეტალურგის” სტადიონი. 11 მაისი.

“კრილია სოვეტოვი” (კუიბიშევი) – “დინამო” (თბილისი) 1:3 (1:3).

“კრილია სოვეტოვი”: ლისენჩუკი, ლოსევი, კუპრიანოვი, სიბგატულინი (მინაევი), არუთინიანი, პანფილოვი, სიდოროვი, მარტინოვი, კუზნეცოვი, პილიპკო. ფეტისოვი.

“დინამო”: გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, გ. მაჩაიძე (მუჯირი), დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, შენგელია (ყიფიანი), ჩელებაძე, სულაქველიძე.

მსაჯი: ა. პოლიკანოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები – 2:3.

მატჩის დასაწყისი საკმაოდ წარუმატებელი აღმოჩნდა თბილისელთათვის: მასპინძლებმა ზედიზედ მიიტანეს იერიშები მოპირდაპირე კარზე, ჩივაძეს ძნელი ბურთის გამოტანა მოუხდა ზედ კარის ხაზიდან. მე–6 წუთზე კი პილიპკომ შეძლო ზუსტად შეესრულებინა გადამწყვეტი დარტყმა და ანგარიში გაიხსნა.

ამას მოჰყვა დინამოელთა შეტევების მთელი სერია და სულ მცირე ხნის, დაახლოებით ათიოდე წუთის მანძილზე კუიბიშეველთა კარი ზედიზედ სამჯერ იქნა აღებული. ამასთან ეს ორჯერ გააკეთა ჩელებაძემ, ორივეჯერ დარასელიას გადაცემით და ორივეჯერ – თავით. მესამე გოლის უშუალო მონაწილეც კვლავ ჩელებაძე იყო. მის წინააღმდეგ უხეშად ითამაშეს მცველებმა, დაინიშნა საჯარიმო დარტყმა, რომელიც ზუსტად გამოიყენა მ. მაჩაიძემ – 3:1.

მეორე ტაიმში კუბიშეველები ბევრს ეცადნენ გამოესწორებინათ მდგომარეობა, მაგრამ დინამოელთა დაცვა მათთვის დაუძლეველი აღმოჩნდა. თბილისელებმა მორიგი გამარჯვება იზეიმეს.

“ლელო”, 12 მაისი, 1979 წ.